ხალხთა მშვიდობიანი ხოც.-ჯ

ერთობისთვის! სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ცეროიმუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღია ყოველ დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ცალკე ფასი 50 ასი მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წ.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: პელაგია და კონსტანტინე ცქიპურიშვილები, და ლოლა, ძმა გიორგი აუწყებენ მეგობართ, ნათესავებს და ნაცნობთ მათი დაუვიწყარი და ძვირფასი

ლუბა კონსტანტინე ცქიპურიშვილის ასულის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ფირის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, კვირას, 23 ივლისს, შუადღის 12 საათზე.

უღრმესად დამწუხრებული მშობლები ნინო, პეტრეს ასული და ვასილი ბურდეულ ძმა მალაზიები, ძმები შალვა და ანდრო აუწყებენ თესავრა და ნაცნობთ, რომ ქ. როსტოკში ივლისის 2 ს ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი შვილი და ძმა

ალექსანდრე (საშა) ვასილის ძე მალაშხია

პანაშვიდები ყოველდღე ქვაშხეთის ეკლესიაში სიდ მოს 8 საათსე. განცვენებულს ჩამოსვენებისა და მისი დაკრძალვის შესახებ ცალკე იქნება გამოცხ დაბეჭდილი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა. წ. ივლისის ოციდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის **დავით ჩიქოვანის** თავმჯდომარეობით იწყება ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი სხვა და სხვა გადასახადები ქალაქ ტფილისში. კომისიაში წევრებად შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი.

ყველა მოქალაქეთ ევალებათ სხვა და სხვა და სხვა გადახდილ გადასახადის ყოველგვარი კვიტანციები და კერძო ბარათები წარმოადგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შესამოწმებლად, იმათ, ვინც ზემოაღნიშნულ კვიტანციებსა და კერძო ბარათებს არ წარმოადგენს, გადახდილი გადასახადი ჩაეთვლებათ გაბათილებულად და ხელმეორედ გადახდებათ. განცხადებები და ნახსენები კვიტანციები უნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების **ბდივანს**. (ოთახი № 21).

ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე—**დავ. ჩიქოვანი.**

ყოფილი ქართული ქლუბის საზაფხულო დარბაზი.

შაბათს, 22 ივლისს გაიმართება

ს. ფაშალიშვილის ს ა ღ ა მ ო

პ რ ო გ რ ა მ ა:

I

შესავალი სიტყვა:

ქართული ლიტერატურა და თანამედროვეობა“.

წარმოსთქვამს კ. გამახურდია

II

წარმოდგენა:

ქართულ ენაზე პირველად წარმოდგენილი იქნება ახალი ვოდევილი მ. ბლიუმენტალ-ტამარინის რეპერტუარიდან:

„ასეთი მაძაკაცი“

როლებში:

მიხეილ ჭიაურელი

ვერიკო ანჯაფარიძე და სხ.

III

საკონცერტო განყოფილება:

თამარ წერეთელი:
ივ. სარაჯიშვილი
ა. ინაშვილი
ვ. შარაშიძე
ს. გაბაშიძე
ოლანეზაშვილი

ბოშური რომანსები ქართულად, რომანსები, არიები და ნაწყვეტები ოპერებიდან ჭიანური.

IV

მწერლები სცენაზე:

კ. მაყაშვილი,
ი. გრიშაშვილი,
ხ. აბაშელი,
კ. გამსახურდია,
ხ. ფაშალიშვილი,
ოთოლი მუშა,
ლეო ქიაჩელი,

ლ. ახობაძე,
დემნა შენგელაია

ახალი ლექსები, მინიატურები, ნოველები.

დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი აცნობებს

ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ვისაც სურს რაიმე შეწირულების გაღება

ამხ. კამოს

სახელობის თავშესაფარის ფონდისათვის, ასეთები უნდა გამოგზავნოს ქალაქის აღმასკომის კასაში.

მდივანი **ხუნდაძე**

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: იულონი ლომინის-ძე და ეფროსინა დიმიტრის ასული, ძმები: იპატი და სერაფიმე, დები: ნადეჟდა, აგრაფენა, ზინა და ლუბა კერძაიები აუწყებენ ნათესავ-მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბორჯომში გარდაიცვალა მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელი მათთვის დაუვიწყარი

ვერა იულონის ასული კერძაია

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ქ. ახალსენაკში, შაბათს, 22 ივლისს.

მოჯადოებული წრე

თითქმის ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჰაგის კონფერენცია გაიხსნა. თუ მივიდგეთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჰაგა როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურადაც გაგრძელება არის genuas კონფერენციისა, უნდა დავასკვნათ, რომ ამ მოლაპარაკებებს კაპიტალისტურ ევროპასა და საბჭოთა რუსეთს შორის ერთობ ხანგრძლივი დრო ჰქონდა ეიქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა. მაგრამ, როგორც მოსული ცნობებით ირკვევა, ჰაგის კონფერენციამ არა თუ უკანასკნელი სიტყვა ვერა სთქვა, არამედ ერთს ადგილას გაიყინა და ერთსა და იმავე ნიადაგს ტკეპნის ერთი თვის განმავლობაში. კერძო საკუთრების ქვეკომისიის უკანასკნელს სხდომაზე ამხ. ლიტვინოვმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ჰაგის კონფერენცია წარმოადგენს ერთი ნაბიჯით უკან დახევას genuasთან შედარებით. ეს შედარება დამახასიათებელია მით, რომ არკვევს ჰაგის კონფერენციის დღევანდელ სახესა და მის ვითარებას.

იგივე ლიტვინოვი კონფერენციას ახასიათებს, როგორც დიდ ინფორმაციულ ბიუროს.

ჰაგასა და genuas შორის ის გარეგნული განსხვავება არის, რომ უკანასკნელს ამშვენებდნენ ევროპის პრემიერები და პოლიტიკის ხელმძღვანელები; აქ საკითხი უფრო პოლიტიკურს ნიადაგზედ იდგა და მასხარეები ნიადაგს შინჯავდნენ ყოველის მხრით. ჰაგა უფრო პრაქტიკულ სახეს ატარებს და მას ამშვენებენ გაქნილი სპეციალისტები სხვადასხვა დარგებისა. წინასწარი შეთანხმებით ჰაგის კონფერენციას გვერდით უნდა აეხვია პოლიტიკურ კითხვებისათვის და პირდაპირ შესდგომოდა ეკონომიური ურთიერთობის გამორკვევას. ეს გარემოება ცხადყოფს იმას, რომ კაპიტალისტურმა ევროპამ პოლიტიკურის მხრით შესაძლებლათ დაინახა რევოლიუციონურ რესპუბლიკებთან შეთანხმება, მათთან ურთიერთობის დაჭერა. საკითხის სიმძიმე გადატანილ იქმნა ეკონომიურს სფეროში და დღეს დავა უმთავრესად ამ კითხვების გარშემო ტრიალებს.

სამი უმთავრესი საკითხი არის გაოსაპრელი და გამოსარკვევი მოპირდაპირე ხალხთა შორის. ეს არის კითხვები კერძო საკუთრების აღდგენისა რუსეთში, ვალების საკითხი და რუსეთისათვის კრედიტის მიცემის საქმე.

ორი პირველი საკითხი წამოყენებული არის კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ და ისინი მოითხოვენ ამ კითხვების მათდა სასარგებლოდ გადაწყვეტას. მესამე საკითხი შეეხება უმთავრესად რუსეთს. უკრედიტოთ, ევროპის კაპიტალის დაუხმარებლად რუსეთის სამეურნეო ცხოვრების აღდგენა უახლოეს დროში შეუძლებელი არის და ამიტომ საბჭოთა რუსეთი თხოულობს შესაფერის კრედიტს ევროპისაგან თავისი მეურნეობის აღსადგენად.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ლახვარი ჩასცა კაპიტალისტურს მეურნეობას რუსეთში და ბურჟუაზიის ხელიდან გამოაცალა ეკონომიური ცხოვრების მესაჭეობა. რევოლიუციის სოციალისტური შინაარსი დაჟინებით მოითხოვდა წარმოების ნაციონალიზაციასა და კერძო მაგნატების განდევნას ეკონომიურ ცხოვრების ვიწრეებიდან, როგორც ვიცით რუსეთის მრეწველობა და მთელი ეკონომიური ცხოვრება დიდს დამოკიდებულებაში იყო უცხოეთის კაპიტალისაგან. ევროპის კაპიტალისტურ ტრესტებსა და სინდიკატებს უამრავი კაპიტალი ჰქონდათ ჩაყრილი რუსეთის მეურნეობაში და ამ მხრივ დიდი ნაწილი რუსეთის მრეწველობისა ევროპის კაპიტალისტების საკუთრებას შეადგენდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთი, მიუხედავად თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, ეკონომიურად ევროპის კოლონიად ითვლებოდა. როდესაც ოქტომბრის რევოლიუციამ იფეთქა, მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა არა მარტო რუსეთის კაპიტალისტებს, არამედ ევროპის მაგნატებსაც. წარმოების ნაციონალიზაციის გატარებამ რუსეთში მოსპო ყოველგვარი საკუთრება და ნიადაგი ჩაუყარა მისს განსაზოგადოებრივობას. ამით დაზარალდნენ უცხო კაპიტალისტებიც. დღეს მათი მთავარი ყურადღება მიქცეული არის უმთავრესად ამ საკითხისაკენ და ყოველგვარი დიპლომატიური ხრიკებით სცდილობენ აიძულონ საბჭოთა რუსეთი დათანხმდეს რუსეთში კერძო საკუთრების აღდგენაზე. ევროპის კაპიტალს ურჩევნია ხელშესახები რეალური დოვლათი ეჭიროს ხელში, ვინემ დაპირებითა და დავალიანებით იკვებოს. რუსეთის დელეგაციამ, როგორც genuaზე, ისე ჰაგაზეც კატეგორიულად განუცხადა მოპირდაპირეებს, რომ არავითარს წემთხვევაში არ დაუშვებს რუსეთის რევოლიუციონური მთავრობა აღადგინოს ძველი მესაკუთრეები თავის უფლებებში. ასეთია რუსეთის კატეგორიული პასუხი ამ კითხვაზე. ცხადია აქ შეთანხმება ამ მიმართულებით შეუძლებელი ხდება კერძო საკუთრების საკითხში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანტანტის მოკავშირეთა შორის ამ კითხვაში არ არსებობს მთლიანობა: ინგლისიტალიის ინტერესები საკმაოდ წყინაღმდეგება საფრანგეთ ბელგიის მოთხოვნილებებს და ეს გარემოება ბიდებს შესაძლებლობას მათ შორის კონფლიქტის გაღრმავებისას, რაც მეტად ხელსაყრელი იქნება საბჭოთა რუსეთისათვის.

მაგრამ კაპიტალისტების მოთხოვნილებანი მარტო ამით არ ისაზღვრება, ისინი მოითხოვენ მშვიდობიანი დროის ყველა ვალების გადახდას და აგრეთვე ომის დროინდელის, მაგრამ ნაცვლად ამისა რუსეთს არ აძლევენ დახმარებას კრედიტის სახით. საბჭოთა რუსეთი თანახმაა გადაიხადოს მშვიდობიანი დროის ვალები, მხოლოდ ამ პირობებში. ის შემოკლებული იქნება და განისაზღვრება ხანგრძლივი მორატორიუმით, მაგრამ მთავარი არის ევროპის კაპიტალისტებისაგან კრედიტის მიცემა საბჭოთა მთავრობისათვის. საბჭოთა მთავრობა პრინციპიალურად წინააღმდეგი არის ყოველგვარი ვალების გადახდისა. მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა საბჭოთა რუსეთს მოითხოვს გარეშე კაპიტალის გამოყენებას. ეს კი შეუძლებელი ხდება, თუ არ იქმნა გადახდილი ვალები. ამ გარემოების გამო, წმინდა ეკონომიურის მოსაზრებით საბჭოთა რუსეთი სთანხმდება ომის წინა დროის ვალების გადახდაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ მიეცეს სამაგიეროდ კრედიტი. ამ გვარად ვალების გადახდისა და კრედიტის მიცემის საკითხები საბჭოთა რუსეთის გეგმით მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ერთი მეორისაგან. უკრედიტო რუსეთს არ შეუძლია ვალების ვადახდა და ვერც გადიხდის... სულ სხვა გვარად უყურებენ საკითხს მოწინააღმდეგენი. მათ სურთ მიიღონ ძველი ვალები და არავითარი დახმარება არ ადმოუჩინონ სესხის სახით რუსეთს. ეს ფრის რუსეთის გაძარცვას. ამ საკითხში პირდაპირ გამოუვალი წრე იქნება. „გადაიხდით ვალებს“?—ეკითხებიან ექსპერტები საბჭოთა დელეგაციას,—„მოგვცემთ კრედიტს“?—უპასუხებენ დელეგატები და ამ გვარს ფორმებში მიმდინარეობს მთელი კამათი ჰაგის კონფერენციაზე. ანხ. ლიტვინოვმა თავის უკანასკნელს სიტყვაში კრედიტების შესახებ სთქვა: ჩვენ. ვითხოვთ მთავრობის სესხი, ეკითხუნენ, რომ მთავრობას არ აქვა სესხად გასაცემი ფულები. მივიდეთ რა ეს მიდგომლობაში ჩვენ ვითხოვეთ საქონლის კრედიტი, გვიპასუხეს, რომ ფაბრიკანტები ვერ ენდობიან საბჭოთა მთავრობის ვალებისა და კერძო საკუთრების გაუქმების გამო და სხვა.

ეს მომენტები დამახასიათებელია მთელი კონფერენციისათვის, რომელიც ერთგვაროს ქუჩაბანდს მიადგა და გასავლი ვერ მოუძებნია. ამიტომ სტეპანის ერთსა და იმავე ადგილს, ათასჯერ უბრუნდება ერთსა და იმავე კითხვას და ვერც დასაწყისი და ვერც დასასრული ძისი ვერ მოუძებნია. ეს არის ჯადოსნური წრე, რომელიც გარშემორტყმული აქეს კონფერენციას და ჰაგა უშუალოდ ძიადგა იმ კითხვებს, რომელიც შეადგენდა მოლაპარაკების მთავარს საგანს, ოგორამ უშუალოდვე დაეჯახა იმ კედელსაც, რომლის გადალახვა მას არ ძალუძა.

„ასეთის სახით კონფერენციის გაგრძელება,—დასკვნა ლიტვინოვმა ერთ-ერთ თავისი სიტყვა,—ძნელად თუ სასარგებლო არის, ვინაიდან ეს მხოლოდ დროის დაკარგვა. ერთი თვე, რაც ჰაგის კონფერენცია ასეთს ყოფაში არის და ტყუილად დროს კარგავს. genuaმ თავიდანვე თან გადასცა ჰაგას ასეთი ბედი. დღევანდელი ვითარება ნათლად ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ ევროპას შორის კოლექტიური ხელშეკრულების მიღწევა შეუძლებელი ხდება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთი იზოლიაციაში დარჩება და ის კერძოდ, სეპარატიულის გზით ცალკე სახელმწიფოებთან არ გამართავს მოლაპარაკებას. დღეს ევროპა იმ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მას ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლია. ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა ეკონომიური ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ საბ. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას. ამიტომ შესაძლებელი ხდება სეპარატიული ხელშეკრულების დადება როგორც ცალკე სახელმწიფოებთან, ისე ცალკე სახელმწიფოების კაპიტალისტურ ორგანიზაციებთან. ასეთი პოლიტიკის შესაძლებლობა ჩვენ უკვე დავინახეთ genuaს კონფერენციის პროცესში რაპალოს ხელშეკრულების დადებით.

გერმანიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ მაგალითი მისცა სხვებს სამართლიანი ზავის დადების საქმეში. მაგრამ გერმანია მარტო არ დარჩა და ბალტიკის სახელმწიფოებთან ერთად რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში შევიდნენ ჩეხო-სლოვაკია და იტალია. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინგლისის სეპარატიულ პოლიტიკის შესახებ, რომლის ინტერესები ყველაზე უფრო მოითხოვენ ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენასა და რუსეთთან ურთიერთობის დაჭერას ეკონომიურს ნიადაგზედ.

ამ გვარად დღეს ნათელია, რომ კოლექტიურის გზით შეუძლებელი ხდება საბჭოთა რუსეთთან შეთანხმება, სამაგიეროთ იხსნება ახალი გზა, გზა სეპარატიული შეთანხმებებისა.

ჰაგის ჯადოსნური წრე დაძლეულ იქნება ხმოლოდ ამ საშუალებით.

ხ. დევიანი

გადაუწყვეტელი საკითხი.

ლეონიდ ანდრეევს აქვს ერთი მოთხრობა, რომელშიაც ამბობს: რამდენათაც ცხოვრება წინ მიდის, იმდენათ მეტ უკან ვრჩებიო. ეს სავსებით შეიძლება განმეორებულ იქნეს ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ.

რამდენათაც საერთოდ წინ მივდივართ, ამ წინსვლის საუკეთესო ბარომეტრს, უნივერსიტეტს უკან ვსტოვებთ.

გასული წელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის თითქმის უნაყოფოდ ჩატარდა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სტუდენტთა უმრავლესობისათვის უნივერსიტეტი არ არსებულა.

ჩვენ კარგად გვესმის ეს წყვეული ობიექტიური პირობები, რომლითაც ყოველი უმოქმედობა გამართლებულია ხოლმე, მაგრამ ჩვენ არ გვესმის მაინც ისეთი უფურადღებობა უნივერსიტეტის მიმართ, რომელსაც იჩენდა ხელისუფლება გასულ სამოსწავლო წლის განმავლობაში.

ჩვენი ხაზინის ხარჯზედ ინახება პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, რომელიც ამიერ-კავკასიის ეროვნული უმცირესობისათვის არსებობს მაშინ, როდესაც საკუთარი უნივერსიტეტის კარები თითქმის დაკეტილი გვაქვს.

ოფიციალურ ინფორმაციას ... ...

ბად ვგრძნობდით ამას, მაგრამ მოხდა ისეთი უბედურება, რომ გრძნობა გრძნობას დაემორჩილა.

ამ გულუბრყვილო ხალხს შენშეიკების ზეგავლენით, გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ლოიდ-ჯორჯი ინგლისს—საქართველოზე გასცვლიდა და ლონდონს—ტფილისზე. გავიდა ერთ წელზე მეტი და ამ ხალხმა მაინც ვერ შეისმინა, რომ პუანკარე, მიუხედავად მისი უკიდურესი დამცველობისა, მხოლოდ თავის ინტერესების დამცველია.

მაშ რადა დარჩა ამ ხალხს პერსპექტივებში? რა თქმა უნდა, ეს მით პარიტეტულ კომიტეტს უფრო უკეთ ეცოდინება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება იმის შესახებ, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარი, ინტერვენციის საშუალებით საქართველოში არა თუ ვერ მოვიდა, იგი ვერც მოვა ვერასოდეს.

ჩვენ მემარცხენე სოც.-ფედერალისტებმა იმ თავიდანვე უარყოფით ანტანტის ორიენტაცია მისი გაიძულებული პოლიტიკით და მივიღეთ ორიენტაცია რუსეთის დიდი რევოლიუციისა.

დღესაც რუსეთის რევოლიუციის ორიენტაციას ვიზიარებთ, ვთანამშრომლობთ საბჭოთა ელჩენებლობაში, ვიცავთ საბჭოთა წყობილებას საქართველოს ფარგლებში და ვიბრძვით იქ, სადაც დაგვხვდება წინააღმდეგობა და დეფექტები და მუხლდავად ასეთი ჩვენი პოზიციისა, მემარჯვენე ხალხისაგან ჩვენ „დავიმსახურეთ", „მოლალეების", „გამყიდველების", „ავწითლებუ ების" სახელწოდება. და წარმოიდგინეთ ამ „დიდთ მოაზროვნე" ხალხმა ეს „სასჯელიც" არ გვაკმარა და გამოგვიცხადა—პოლიტიკური „ბოიკოტი". რა არის ეს „პოლიტიკური ბოიკოტი"? მემარჯვენეების გაგებით დღევანდელი ბოიკოტი არის—„გამასწორებელი საშუალება" მაგალითად, როდესაც მემარჯვენე ფედერალისტი, რომელიც მიდის ქუჩაში და შეხვდება მას თავისი უფროსი ამხანაგი მემარცხენე ფედერალისტი, ერთი მაგრად შეუბღვერს, გვერდს აუხვევს, სალამს არ მისცემს და ისე გაივლის. არც ამით თავდება საქმე და ეს „სოციალისტები" მუშათა წრეებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში და სტუდენტობაში ეწევიან „აგიტაციას" და ეუბნებიან—დაანებეთ კაცო თავი მემარცხენეებს. თ. ლონტი ბოლშევიკების ნამდვილი „აგენტია", იგი შესყიდულია და ვინ მოსთვლის კიდევ რა უაზრო დამგოგიას არა აქვს მათს მოეწყდებაში ადგილი. ჩვენ რასაკვირველია მათს ასეთს გამოსვლებს ერთ წელიწადზე მეტია რაც ანგარიშს არ უწევთ და არც ყურს უგდებთ, ვინაიდან ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენს წინააღმდეგ ამზადებულია უმთავრესად ჩვენგან გადაშენული პარტიული არისტოკრატია, ბანკისა და გიმნაზიის დირექტორები, ყოფილი იურისტები და ნაწილი წვრილფეხა ინტელიგენციისა. ამას გარდა ჩვენ ისიც ძალიან კარგათ ვიცით, რომ ამ ხალხს რევოლიუცია და ქართველი მშრომელი ხალხი იმდენად ეინტერესებათ, რამდენადაც ეს ინტერესებს ჩინეთის მეფეს. ამის შემდეგ საკითხავია:—რას ნიშნავს გუშინდელი პარტიული ამხანაგის პოლიტიკური ბოიკოტი დღეს? აი რასა:—ეს ნიშნავს სულიერად, მთელი თავიანთი რსებით ბიუროკრატიულ ფეოდალიზმის და სულისკვეთების გამომჟღავნებას. არც მეტს, არც ნაკლებს. ჩვენ ვიცოდით პარტიაში ისეთი პიროვნებები, რომელთა „რევოლიუციონერობა" ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, იმდენად იყო დასაჯერებელი, რამდენადაც ბოშტარიას გასოციალისტება. მაგრამ დავ ნებოთ ამას თავი, დღეს დავა ამაზე ხომ არ არის. დავა არის ასე ვთქვათ ჩვენს „ჯაწითლებაში", „გამყიდველობაში" და „ღალატში".

დ. მელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ესერების პროცესი

მოსკოვი 19 ივლ. 18 ივლისის საღამოს სხდომაზე ბრალდებულმა რატნერმა განაცხადა, რომ ვოლდარსკის მკვლელობის დროს ის იმყოფებოდა ბუტირის ციხეში. მისი და ევგენია რატნერი რომელიც მივიდა მის სანახავად, შეკითხვაზე არის თუ არა მონაწილე ამ მკვლელობაში, პასუხი „კეთილობა მოახდინეს ჩვენებმა." ამის შემდეგ რატნერი ელაპარაკა ამის შესახებ დონსკოის და ამ უკანასკნელმა უამბო დახლოებით ყველაფერი, რაც მოხდა.

ბრალდებული ევგენია რატნერი და დონსკოი უარს ამბობენ იმის შესახებ, რომ მათ ქონდათ ლაპარაკი ვოლოდარსკის მკვლელობაზე, როგორც პარტიის მიერ მოწყობილ აქტზე.

სემიონოვი აცხადებს რომ როდესაც ცეკამ თავი იმართლა ვოლოდარსკის მკვლელობის ბრალდებაში, იმან ამით გამოაცხადა თვისი პოლიტიკური სიმუხთლე. მაგრამ პარტია ამდროს განიცდიდა კრიზისს და ყოველი მებრძოლი მზად იყო პარტიის საკეთილდღეოთ გამხდარი სისხლის სამართლის დამნაშავედ.

სემიონოვის ჩვენების შემდეგ სასამართლო გადადის ზინოვიევის თავდასხმის და ურიების მოკვლის გარემოებების გარემოებების გამორკვევაზე. კონოპლიოვა აცხადებს, რომ ნალმოსნთა დივიზიაში მომხდარ არეულობის ლიკვიდაციის შემდეგ კონოპლიოვას მუშაობა როტაში დამთავრდა და სემიონოვმა გამგზავრებისას. მიანდო მას თვალყური ედევნებია ურიცკისათვის და აგრეთვე ზინოვიევისათვის. გაიგო რა სად სცხოვრობდა ურიცკი, კონოპლიოვამ დაიქირავა ბინა იმის სახლის პირდაპირ და დაუწყო მას თვალყურის დევნება. თვალყურის დევნება 2—8 კვირა გაგრძელდა. ჩქარა ამისაკენ მდეგ კონოპლიოვამ აცნობა დეპეშით სემიონოვს, რომ მისი მუშაობა დამთავრდა მაგრამ ამ დროს თვით კონოპლიოვა გაწვეულ იქნა. მოსკოვში და ამიტომ თვალყურის დევნება მიანდო მებრძოლ ზოიხს. უფრო გვიან ურიცკი იქნა მოკლული კანგისერის მიერ, რომელიც 1918 წელს გაზეთულზე იყო ვიბორგის რაიონის კომენდანტი. კანგისერს არავითარი დამოკიდებულება სემიონოვის რაზმთან არ ჰქონია. ურიცკის თვალყურის დევნის, შესახებ გოცმა გაიგო კონოპლიოვის სიტყვებიდან.

კრილენკოს შეკითხვაზე კონოპლიოვა იძლევა განმარტებას, რომ ურიცკიზე თავდასხმა არ მოხდა მხოლოდ იმიტომ რომ, ამავე დროს მოსკოკში მზადდებოდა თავდასხმა ლენინზე და ტროცკიზე, არ იყო სასურველი ძალების დაქსაქსვა. კონოპლიოვას ჩვენებას სავსებით ადასტურებს სემიონოვი.

ბრალდებული გოცი კატეგორიულად უარყოფს, რომ თითქოს მას სცოდნოდეს რამე ურიცკისე თავდასხმის შესახებ და აცხადებს, რომ მას ამის შესახებ კონოპლიოვასთან არას დროს არ ჰქონია დაპარაკი.

გერმანიის ამბები

გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები.

ნაუენი. 20 ივლისი. კანცლერმა ვირტმა და პარტიების ლიდერებმა დაადგინეს გადასდონ გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები რეიხსტაგის შემადგენლობის სესიამდე.

ანტანტა და გერმანია.

ნაუენი, 20 ივლისი. ანტანტა უარს ამბობს მიიღოს გერმანიიდან მიუწოდებელ ნახშირის ნაცვლად გადასახადი. ნახშირის კრიზისის გამო ამჯობინებს მიიღოს ის ნატურით, რაც საგრძნობლად დასცემს გერმანიის მრეწველობას.

გერმანიის მრეწველობა.

ნაუენი. 20 ივლისი. ბერლინის სირწმუნო წყაროები უარყოფენ პარიზიდან მიღებულ ცნობებს, რომლის თანახმად გარანტიების კომისია მოითხოვს გერმანიის სამრეწველო კამპანიების დაბეგვრას. გერმანიის საკონტრიბუციო გადასახადის გარანტიისათვის.

რატენაუს მოკვლის გამო.

ნაუენი. 20 ივლისი. დაპატიმრეს საალენის კოშკის პატრონი ექიმი შტეინი. თუმცალა ძლიერ საეჭვოა, რომ მას სცოდნოდა, რომ მის კოშკში იმყოფებოდნენ რატენაუს მკვლელები.

ბორდო. 20 ივლისი. იტყობინებიან რატენაუს მკვლელების შეპყრობის დეტალების შესახებ. პოლიციის მიერ დევნილი მკვლელები მიიმალნენ კოშკში. პოლიციამ სროლა ასტეხა ფანჯარიდან და ერთერთი ტყვიით მოკლულ იქნა კერნი. კოშკის ახლო იპოვნეს მოკრული ტანსაცმელი, რომელიც დაეტოვებიათ მკვლელებს, რომ ადვილი ყოფილიყო ხათვის გაქცევა. მკვლელების გვამთან აღმოჩნდა საკრედიტო ბილეთი 3000 მარკის რაოდენობის. გამოარკვიეს, რომ კოშკის პატრონი შტეინი ამ ხნის განმავლობაში მოგზაურობდა მიუნხენში და ნიურენბერგში.

საკონტროლო კომისია.

ბორდო. 20 ივლისი. საკონტროლო კომისიამ, ბერლინში ყოფნის შემდეგ სადაც ის ჩავიდა გერმანიაში ფინანსიური კონტროლის მოწყობის საშუალებათა შესასწავლათ, დამთავრა თავისი მუშაობა და ბრუნდება პარიზში.

კიდევ მკვლელობა.

ბორდო. 20 ივლისი. ექიმი მარშევსკი პოლონელი, გაზ. „კურიერ პოზნანსკის" რედაქტორი მოკლულ იქნა პოზნანში პანგერმანისტების ადგილსამყოფის მიერ, იმ წერილების მოთავსებისათვის, რომელიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის სულის ჩამდგმელების და პანგერმანისტების კამპანიის წინააღმდეგ.

ირლანდიის საწყობი.

ბორდო. 20 ივლისი. საკავშირო პოლიციამ შიშოფერიდეში (ენნიმარი) ხელში ჩაიგდო ირლანდიის საწყობი, სადაც აღმოჩნდა თოფები, როველვერები, ტყვიისმფრქველები და პატრონები, ეს საწყობი ეკუთვნოდა „ახალგაზრდა გერმანიის" საზოგადოების, რომლის რამდენიმე წევრი დაპატიმრებულია.

რატენაუს მოკვლის გამო.

ბორდო. 20 იულისი. მიუნხენიდან იტყობინებიან, რომ რატენაუს მოკვლის გამო დატუსაღებული სტუდენტები გაათავისუფლებული არ ნ.

ნაუენი. 20 ივლისი დამატებით მიღებულ ცნობების თანახმად რატენაუს მკვლელებმა, სანამ მათ პოლიცია შეიპყრობდა დაჰყვეს კომეში 3 დღე. მახლობელი მცხოვრებნი გაკვირვებული იყვნენ სინათლით, რომელიც მოსჩანდა კოშეის პატრონი ამ დროს სხვაგან იყო წასული.

ვერცხლის ვალი.

ნაუენი. 20 ივლისი. ამერიკის ფედერალურ სტატისტიკურ ბიულეტენის ცნობით გერმანიამ 1921 წელში გაიტანა შეერთებულ შტატებში 6 მილიონი დოლარის ვერცხლი.

თავდაცვის კანონის წინააღმდეგ.

ნაუენი. 20 ივლისი. მიუნხენიდან მიღებულ ცნობების დასაბამად, ბავარიის ნაციონალისტების სახალხო პარტიას განზრახული აქვს ბავარიის რეფერენდუმის მოხდენა რათა წინააღმდეგობა გაუწიოს თავდაცვის კანონის გატარებას.

გარანტიების კომისია.

ბორდო. 20 ივლისი. პარიზში გამგზავრების წინ გარანტიების კომისიამ წარმოუდგენია გერმანიის მთავრობას ნოტა, რომელიც მოითხოვს ბიუჯეტის, იმპორტ ექსპორტის კონტროლს, თანხების დაბინდებას და სტატისტიკურ ცნობების გამოქვეყნებას.

უცხოეთი

პოლიტიკური მდგომარეობა ბუნგარეთში.

ბერლინი. გაზ. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი" იტყობინება, რომ ბულგარეთში სწარმოებს ნაციონალურ პრეზიდენტის არჩევნები; 185 ხმიდან 146 ხმა მიიღო ნაციონალურ კრების ყოფილმა პრეზიდენტმა გასტონმა. ოპოზიციონურმა ჯგუფმა მისცა ცარიელი ბარათები. პრეზიდიუმში არ მოხვდა არც ერთი კაცი ოპოზიციონურ ჯგუფიდან. არჩევნების შემდეგ გალმა მიმართა კრებას ვრცელი დეკლარაციით, რომელშიაც ნაზი გაუსვა, რომ ის ფიქრობს მისდიოს 1908 წლის პოლიტიკას. ის ფიქრობს ელიარის სიტვის ფართო თავისუფლება და ეცდება დაიცვას ძველი ტრადიციები, მაგრამ თუ მიზანშეწონილ მუშაობის შესრულებისათვის და და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის საჭირო იქნება ენერგიული ზომების მიღება, ის არაფერს არ დაგრიდება.

დეკლარაციის მოსმენის შემდეგ კრებამ ფიცხე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ მეფე კარლოს და დაადგინა ეუგზავნოს მეფის მეუღლეს ზიტას თანამგრძნობის ბარათი. სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებმა დეფინსტრატიულად მიატოვეს დარბაზი დეკლარაციის წაკითხვის დროს.

სოციალისტების შეკითხვა საარჩევნო კანონის გადასინჯვისა და არჩევნების დროს მომხდარ ბორბოტ-ბოკმედებათა გამოძიების შესახებ გადადებულ იქნა და დადგენილ იქნა პირველყოფილისა განიხილონ დროებითი ბიუჯეტი. ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა თვით არჩევნების და საარჩევნო წესის უკანონოდ ცნობას. სოციალ-დემოკრატიამ წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნილებათა, რომელთა შორის პირველ რიგში დგას მოთხოვნილება კანონიერ ანაზღაურების შესახებ მისი ორი წინამძღოლის ეომაის და ბაგსოს მკვლელობისათვის.

ირლანდიაში.

ნაუენი. 20 ივლისი. ირლანდიის მთავრობის ჯარებმა იგემეს კიდევ ახალი გამარჯვება. მათ ჩაიგდეს ხელში რესპუბლიკანელების შტაბის ბინა ლიბერიკოში რესპუბლიკანელები საბოლოოდ დამარცხდენ.

გაფიცვები ამერიკაში.

ნაუენი. 20 ივლისი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკის მრავალ ქალაქებში დაიწყო შეიარაღებული იქსცესები. გაფიცვების გამო შეერთებულ შტატების მთავრობას განზრახული აქვს დაიბმაროს ჯარები გაფიცვების ჩასაქრობად. სოციალისტებს განზრახული აქვთ გამოაცხადონ საერთო გაფიცვა.

გერმანიის პარტიებში

ბორდო. 20 ივლისი. მეუმრავლესობა სოციალისტებმა და დემოკრატებმა გამოაქვეყნეს პროკლამაცია, რომელშიაც ისინი იმართლებენ თავს, რიხტაგის მუშაობის შეწყვეტა მათ მიერ არ არის გამოწვეული. ორივე პარტიები ამბობენ, რომ კრიზისი დაახლოვებს მათ ერთმანეთთან და ისინი მიადწევენ საბოლოო მიზანს.

ლიუდენდორფის განცხადება.

ბორდო. 20 ივლისი. გერმანიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლიუდენდორფის განცხადება, რომელშიაც ის ბრალსა სდებს ბოლშევიკებს, როგორც ინიციატორებს რატენაუს მკვლელობისა, რითაც მათ სურდათ გამოეწვია სამოქალაქო ომი, რომელიც გათავდებოდა გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

ვალები შეერთებული შტატებისათვის.

ნაუენი. 20 ივლისი. შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრი ფიქრობს, რომ ინგლისის და საფრანგეთის მიერ აღებული ვალები უნდა იქნეს განხილული სრულიად დამოუკიდებლად სხვა ქვეყნების ვალებისაგან. საფრანგეთის მოლაპარაკება გაგრძელდება მანამ, სანამ ამერიკაში არ ჩავა ინგლისის საფინანსო დელეგაცია.

პალესტინაში.

ნაუენი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პალესტინაში რევოლიუციის დაწყება აუცილებელია. ორივე მთავრობები ინგლისელებისა და სიონისტებისა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიშორონ აჯანყება.

კანადა და რუსეთი.

ნაუენი. 20 ივლისი. ოტტავიდან იტყობინებიან, რომ კანადას მთავრობამ განაახლა სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან.

ქრისტიანია.

ნაუენი. 20 ივლისი. ქრისტიანია ემზადება თავის დაარსებიდან 300 წლის თავის დღესასწაულისათვის.

პოლიტიკური მდგომარეობა იტალიაში.

ჰანოვერი, 20 ივლ. ფაშისტებმა ტაქტიკური მიზეზების გამო (გამოტოვებულია)... მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც თავის სისუსტის გამო ფაშისტებთან ბრძოლაში, ემხრობა მემარცხენეებს. მთავრობის კრიზისი მწვავდება. „მონდეს" სიტყვით კრიზისი ეხება არა მარტო მთავრობას, არამედ ვრცელდება მთელ ქვეყანაზე. იტალია სდგას სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე. მთელ რიგ პროვინციებში გამოცხადებულია გაფიცვები. რომში კომუნისტებმა დაარსეს ერთგვარი თავდაცვის ფრონტი. ფარული ორგანიზაციები აშკარად ლაპარაკობენ აღმასრულებელ კომიტეტზე.

ლიონი, 20 ივლ. ფაშისტების მღელვარება ძირს უთხრის ფაქტას კაბინეტის პრესტიჟს. „ტანა"-ის ცნობით, მხოლოდ ჯიოლიტტის ჩარევას შეუძლიან თავიდან ააცილოს თითქოს აუცილებელი კრიზისი.

კრაუდენი, 20 ივლ. (დასაწყისი არაა მიღებული)... არ შეუძლია ენერგიული ბრძოლა აწარმოოს საბელმწიფოში ფაშისტების წინააღმდეგ ისეთი სერიოზული უწესოების თავიდან ასაცილებლად, რომელსაც უკვე ადგილი ჰქონდა იტალიაში. დეპუტატ-ფაშისტ რუსელინმა გამოვიდა რა პალატაში დღეს, განაცხადა: „მალე ფაშისტები გადასწყვეტენ საკითხს აწარმოონ თავისი ბრძოლა არ [illegible] ადგენ აჯანყებას [illegible] ვაცხადებ, [illegible] არ ძალუძს [illegible] თუ მის პროგრამაში შეტანილი იქნება ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა".

ამბები

— **ფოთის ნავთსადგურში.** როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, თანახმად ხელშეკრულებისა, რომელიც დასდო საქ. საზღვაო ტრანსპორტმა შავი და აზოვის ოლქთან, ფოთის ნავთსადგურში მოვიდა 15.000 ფ. დონეცის ქვანახშირისა მიწის მთხრელი მანქანისათვის, რომელსაც ამ დღეებში მოელიან აქ. დეპეშით მოვიდა ცნობა, რომ ივლისის 15 კერჩიდან გამოვიდა მიწის სათხრელი „შუმსკი" მოწყობილობით ფოთის ნავთსადგურის გასაღრმავებლადო. ამ მუშაობის სახელმძღვანელოთ საქ. საზღვაო ტრანსპორტმა შეადგინა უმაღლესი ტექნიკური მეთვალყურეობა. ნავთსადგურის გარდმავებისათვის მუშაობა აგვისტოს დამლევს ა. წლისა შესაძლებელს გახდის, რომ შემოვიდეს წყალში ღრმად მოსიარულე საოკეანო გემები.

— საქ. საზღვაო ტრანსპორტის მართველობაქ შესწირა საქ. დამშეულთა სასარგებლოდ 41,156,700 მან.

— **ელექტრო-სადგურების მმართველობამ.** შეუდგა ელექტრო სადგურების ხაზების კაპიტალურ რემონტს და გადაკეთებას. ბადეს ანაწილებენ უფრო რაციონალ და მიზან-შეწონილად, რომ ყოველი სადგური ემსახურებოდეს თავის რაიონს. ეს იწვევს ზოგიერთი ბოძების მოხსნას, ვინაიდან სხვა და სხვა სადგურები ერთ ადგილას თავის საკუთარ ბოძებს აყენებდენ. ზედმეტი მავთული მოიხსნება წონით 200 ფუთამდე. ამავე დროს დაწყებულია სადგურის საქმიანობის გაფართოვება ნაძალადევში და არსენალის ახლოს, რომელნიც ამ დღეებში იქნება განათებული. რემონტისა და გაფართოვებისათვის ბორჯომიდან მიღებულია 1000 ბოძი.

— **მეეზოვეები.** ქალაქის ყველა უბნებში შემოღებული იქნება მეეზოვეთა ინსტიტუტი; რომელსაც დაეკისრება არა მარტო ქუჩების და ეზოების გაწმენდა, არამედ ქონებისა და წესიერების თვალყურის დევნება და ღამ-ღამობით მორიგეობა.

— **ქუთაისის ხეხილი.** მოწესრიგებულია ქუთაისის ხეხილის გადმოტანის საქმე განსაკუთრებული ვაგონებით, რომელიც მოებმება სამგზავრო მატარებლებს. გადმოტანისათვის ტარიფი დაკლებულია. ხეხილის ბაზრად ითვლება ტფილისის და ბაქოს ბაზარი.

— **ჟურნალი „ილიონი"** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა თვიური სალიტერატურო ჟურნალი „ილიონი". მონაწილეობენ: აბაშიძე კ., გამსახურდია კ., გარდელი, გრიშაშვილი, გორგაძე ს., მარიჯან, მოსაშვილი, მჭედლიშვილი, უიარალო, ლეო ქიაჩელი, ზანგი, ,ეუზნაძე დ., ფაშალიშვილი ს., წერეთელი ალ., ჭუმბურიძე გიგო. მეორე ნომრისთვის მოწვეულ იქნებიან სხვა მწერლებიც. ყდა შარლემანის. ჟურნალი შეიცავს 64 გვ. კონსტანტინე გამსახურდიას წერილი: „ალიგიერი დანტე" რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ „ლომისის" № ნ-ში, გადაითარგმნა იტალიანურად. იგი დაიბეჭდება რომში დანტეს საზოგადოების ბიულეტენებში.

ბაკურიანი

[illegible]

პარტიაში

ახალგაზრდათა დროებითი კავშირი ამით აცხადებს პარტიული ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ კოლია დოლაბერიძე, რომელიც გადაყენებულ იყო ორგანიზაციის წევრობიდან 3 თვის ვადით, გაუსწორებლობის გამო გამორიცხულია ახალგაზრდათა ორგანიზაციიდან.

ახალ. დრ. კავშირი.

ტფილისის ფარმაცევტთა ცხოვრებიდან

16 ივლისს, სახალხო განმრთელობის კომისარიატის შენობაში შესდგა ტფილ. აფთიაქებში მომუშავეთა კრება. მას დაესწრო საგრძნობი ნაწილი მუშებისა, რადგან განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აწ განსვენებულ დაუღალავ პროფესიონალურ მოღვაწის მიშა ბერიძის ხსოვნას, ტრაღიკულად გარდაცვლილს ცნობილ რევოლიუციონერს კამოს და ტრაღიკულად გარდაცვლილს ფარმაცევტ-ქალს სულაქველიძისას.

დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) ფარმაცევტიულ სექციის ბიუროს მოქმედება, 2) სასოფლო აფთიაქების მდგომარეობა და მიმდინარე საკითხები.

ფარმაცევტიულ სექციის ბიუროს მოქმედების შესახებ კრებას მოახსენა ამხ. მიქაბერიძემ, რომელმაც თავის სიტყვაში მკაფიოდ აღნიშნა მიზეზები ბიუროს უმოქმედობისა. აღმოჩნდა, რომ თავი და თავი მიზეზები ბიუროს უმოქმედობისა, ფარმაცევტთა უუფლებობაა. ბიუროს წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმაც კი არ ქონია „ვსემედიკო-სანტრუდის“ ცენტრალურ გამგეობაში; იგი იძულებული ყოფილა ეხელმძღვანელებია მოსკოვის ინსტრუქციებით; მიუხედავათ მთავრობის გახკარგულებისა, დღემდეც ვერ მოხერხებულა აფთიაქებში სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოება, „ფარმატდელიც“ აგრედვე რუსულად აწარმოებს საქმეებსო, ტერმინი ფარმაცევტი აღარ არის ბმარებაში; მის მაგიერ „აპტეკორაბოტნიკს“ ხმარობენ; ფარმაცევტიულ განყოფილებას კი „მედცსნაბჟენიეს“ უწოდებენ; სასოფლო აფთიაქები უმწყო მდგომარეობაშია და ამიტომ ისინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით იჯარაში უნდა გაიცეს, განაცხადა მომხსენებელმა. ცხადია, რომ (თუმცა არა სასურველი) აუცილებელი შეიქმნა კერძო ენერგიის ამოძრავება წარმოებაში და შესაძლებელია ამან აღორძინების ნატამალიც გაადვივოს, მაგრამ საჭიროა არჩევა პირობებისა, რომელსაც აფთიაქს ანდობენ. აქ კი იოკვევა, რომ უპირატესობას ისევ ძველ მესაკუთრეებს ანიჭებენ და ეს დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს.

თუ აუცილებელია იჯარა, სჯობდა უპირატესობა ფარმაცევტთა კოლექტივებს მისცემდა და შერე კი კერძო პირებს, განსაკუთრებულ ნდობა დამსახურებულებს და არა ძველ მესაკუთრეებს. ტფილისის ზოგიერთ აფთიაქებში გამგეებათ, თავთავიანთივე აფთიაქებში, ისევ ძველი მესაკუთრეები დააბრუნეს, რამაც აფთიაქს ისევ ძველი ელფერი დასდო. გაუგებრობას იწვევს ეს ნაბიჯი; ფარმაცევტთა ისტორიული ბრძოლის სულისკვეთება, აფთიაქების განსაზოგადოებაში გამოიხატებოდა; ეს საბჭოთა მთავრობამ ცხოვრებაში გაატარა და აფთიაქები კერძო პირების ექსპლოატაციისაგან გაანთავისუფლა. მაგრამ ამ ბოლო დროს, მას მოყვა სრულიად წინააღმდეგი ნაბიჯები.

დაუშვებელია აფთიაქი იყოს ექსპლოატაციის საგანი სახელმწიფოსათვისაც კი, არა თუ კერძო მესაკუთრისათვის. აქვე უნდა ითქვას აფთიაქების კონტროლზე; იგი არ არის დამაკმაყოფილებელი. ბოროტმოქმედებას სისტემატიური ხასიათი მისცემია; შედეგათ კი დაუსჯელობა ბოროტმოქმედებისა. ნათლიმამობა, პარტიულობა და მეგობრობა, საქმის დამღუპველია.

კამათის დროს ბევრი ითქვა ეფლებრივ მდგომარეობაზე; ამხანაგებმა მოითხოვეს პროფესიის დამოუკიდებლობა სხვათა „აპეკისაგან“. აგრეთვე მოითხოვდნენ რესპუბლიკის ფარმაცევტთა კონფერენციის მოწვევას, რათა საუკეთესო ძალებით შეუერთდნენ ჯანმრთელობის მომუშავეთა კავშირს თავისუფლად და საფარმაციო საკითხებში გადამწყვეტი ხმით. ბიუროს მოქმედების შესახებ, მოხსენების შემდეგ კრებამ მეშაობისათვის მადლობა გადაუხადა.

როდესაც ამხ. მიშა ბერიძის დამკრძალავ კომისიის წევრმა ამის შესახებ ახგარიში დაამთავრა, კრების მიერ ნაჩქარევათ მიღებული იქმნა მომხსენებლისაგან მიწოდებული წინადადება, რომლითაც „ბერიძის სახელზე ძეკრებილი თანხის ხამთი 14 მილიონი მანეთი უნდა გადაეცეს ერთ ავადმყოფ ამხანაგს. ამ წინადადებაზე არავითარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ ძომხდარა, ამხანაგებმა შეკითხვაც ვერ მოასწრეს. არ ვიყავით არასოდეს წინააღმდეგი სნეულ ამხანაგს დაეხმარებოდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიზნისათვის მეტი თანხაც შეიკრიბება, მაგრამ ბერიძის სახელზე შეკრებილი თანხა უნდა მოხმარებოდა მისივე სახელის აღსანიშნავად; მაგალითად ქართული უნივერსიტეტის საფარმაციო ლაბორატორიას, რომლისათვისაც ის კავშირში დიდათ იდვწოდა. საყურადღებო იყო განცხადება მე-6 საბჭოთა აფთიაქში ძომხდარ ინციდენტების შესახებ, სადაც მარმან ავადმყოფისათვის 6 პარაშოკი წამლის მიცემაზე ერთ-ერთი ანხანაგი დაუბეზღებიათ და სამი თვე ციხეში ჩაუსვამთ. წრეულს კი ამ დამბეზღებლებს თვით გაუფლანგავთ რამდენიმე ათეული მილიონი. საერთო კრება ამ განცხადებას ფრიად ყურადღებით მოეპყრო და აირჩია სარევიზიო კომისია, რომელიც დაწვრილებით მეისწავლის მე-6 საბჭოთა აფთიაქში მომხდარ ბოროტმოქმედებას და მოახსენებს საერთო კრებას შესაფერ დასკვნის გამოსატანად. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით, მიუთითო ამ ხანაგ ფარმაცევტებს, რომ სასურველია მიშა ბერიძის სურათი მოთავსდეს იმ კავშირის ოთახში, რომელშიაც ბერიძემ თითქმის ექვსი წელიწადი გაატარა დაუღალავ მუშაობაში. ამით მაინც აღინიშნებოდა მისდამი პატივისცემა მადლიერ ამხანაგებისაგან.

დასასრულ მოხდა არჩევნები. სექციის ბიუროში აირჩიეს მიქაბერიძე, დოლაბერიძე, კანდელაკი, დოლიძე და გოგიბერიძე. სარევიზიო კომისიაში აკ. ბაქრაძე, ლეონა ნინა და კვირიკაძე.

კაკო.

თეატრი ლ ხელოვნება

„განდეგილის“ გასამართლება.

კვირას, რუსთველის თეატრში გაიმართება ილიას „განდეგილის“ გასამართლება. ბრალდებულად გამოდიან—შოთა დ. ინი და აკაკი ფალავა, ხოლო დამცველებათ—დიტო უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და კოწია გამსახურდია.

„განდეგილის“ გასამართლება ერთი მხრივ გარჩევა ჩვენი ლიტერატურის ერთი უძლიერესი და ურთულესი ნაწარმოების, ხოლო მეორე მხრით სიცოცხლის აზრისა და ღირებულების პრობლემის.

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში „განდეგილს“ თავისებური ადგილი უჭირავს, რომელშიაც გადაშლილია ამ საუკუნის დიდი მწერლის ნიჭი და მოცემულია დრმა მორალური ფილოსოფია სიცოცხლისა და ცხოვრების აზრის შესახებ.

„განდეგილის“ შესახებ ატეხილი დავა და კამათი ჩვენს ზოგადოებაში თავიდანვე ყალბ ნაადგზე ავიგო, რომელსაც საფუძვლად ქონდა ილიას პიროვნების შეფასება და პოლიტიკური სპეკულიაცია, რომელშიაც იჩრდილებოდა ღრმა ნაზრევის და დიდი პრობლემის ძირეული ბუნება.

რა თემა უნდა ჩვენ არ გვინდა „განდეგილის“ გარჩევის შეუდგეთ, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია მისი ძირითადობის აღნიშვნა მხოლოდ.

საერთოდ, როგორც ჩვენი სიტყვიერების ბევრი მწერლობა, ისე საზოგადოებრივი აზროვნება მე 19 საუკუნეში არ ხასიათდებოდა ფილოსოფიური პრობლემებით გატაცებით. მიუხედავათ ამისა, რომ მთელ საუკუნის განსწვრივ ერთ-ერთ სული ცხოვრების უკეთესი ბედ. ქართველ მწერალს და მოაზროვნეს სავდილის ჩრდილს და ცხოვრების შეფასების პრობლემას უსვამდა წინ, მაინც თითქმის გვერდიდან ჩვენი მოაზროვნენი ამ საკითხთა ხელშეხებას და ერთ-ერთი განცდა არ შორდებოდა პოლიტიკური აზროვნების სფეროს.

ამ მოვლენის მიზეზი შეიძლება ღრმათ არის ჩაძირული ჩვენი ერის ფსიხოლოგიურ ბუნებაში, მაგრამ ფაქტი მაინც ფ ქტია, რომ ჩვენი აზროვნების განვითარებას არ ახასიათებდა ფილოსოფიურ პრობლემათა გარჩევა-ძიება. ამ ხარივ ორი სწერალია გამოხაკლისი. პირველია ილია—სიტყვა კაზმული მწერლობის დარგში, მეორეა არჩილი—პუბლიცისტიკის სფეროში.

ილიამ „განდეგილში“ ორი პრინციპი ადამიანის ბუნებისა. დაუპირდაპირა ერთმანეთს და ამ დაპირისპირებაში გასწყვიტა კვანძი დრამისა, „ის. რომ გამარჯვების და დამარცხების ნიშანდობლობა ორივე მათგან შეარჩინა.

შესაძლებელია ის შეხედულება, რომ ვითომც ილიამ ხორციელ ბუნებას ადამიანისა ძიანიკა გამარჯვება სულიერ ბუნებაზე. შემცდარია საწინააღმდეგოც. ილიამ ეს საკითხი არ გადასწყვიტა დ თუ განცავთ ამბავია მთელი სიდიდე და სირთულე „განდეგილისა“.

ერთი სიტყვით „განდეგილ“ ერთი საუკეთესო თვალია მე 19 საუკუნის ლიტერატურის. ღრეს ხანი გასამართლება ძალად საინტერესო მოვლენაა, რადგან ამ გასამართლებას ღარ უდევს საფუძვლად ილიას პიროსახეების შეფასება, როგორც ბოდვაწის. როგორც ზემოდ აღნიშნულია გასაგართლებაში მონაწილეობას იღებს საუკეთესო ძალები და ქართველი საზოგადოება, რომელ ც დიდი ხანია ადარ არის ბნეველი ლ—ტერატურული გასამართლების ვფიქრობთ დ დ ინტერესით მოისმენს ამ.. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ გასამართლებია შემოსავალი უცხოეთში გასამგზავრებელ სტუდენტთა სასარგებლოდ არის გადადებული და მით უფრო ჩვენი საზოგადოება ზნეობრივ მოვალეობასაც მოიხდის მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ.

ხ.

—

სიმფონიურ კონცერტთა ციკლი

საბწუხაროდ, სიმფონიურ ორკესტრის კოლექტივი, რომელიც თავისი კულტურული მუშაობა დაიწყო ზაფხულის დასაწყისს, იძულებული შეიქნა შეეწყვიტა თავისი მოქმედება. ეს გაზ. „ტრიბუნის“ ფურცლებზე უკვე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ამ საბწუხარო მოვლენის შესახებ, რადგან ასეთ კულტურულ საკმისობრს შეწყვეტა და მის მაგიერ ლოტოს და ყოველგვარ კაბარეს გავრცელება,—მართლაც რომ საბწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ასეა თუ ისე, მხოლოდ ახლა სიმფონიური ორკესტრი თავის კონცერტებს მართავს კვირიაში არა ხუთჯერ, როგორც ეს განზრახული იყო, არამედ ერთხელ და ამ კონცერტებზეც მანიმალური კი არ არის, არამედ კარგ საგრძნობ ციფრამდისაც აღწევს. საზოგადოებაც ცოტა ეს ერება, მე ვამბობ სერიოზულ მუსიკის მოყვარულთა შესახებ და ამა იმათზე, რომელნიც უფასოა კონტრამარკებით ავსებენ დარბაზს, რომელთაც ხიზლავს კონცერტებზე არა მუსიკა, მათ ხელოვნება კი არ სურთ, საანახლობა ხიბლავს, ხელოვნების მოყვარულთ კი არ უძნელდებათ კონცერტებზე დასწრება მაღალი ფასების გამო. ამის მსგავსია, როგორც ეს მე ალვნიშნე,—დიდი გასავალი და საქმეში ისეთი პირების ჩარევა, რომელთაც საწინააღმდეგო არაფერი არ აქვს, რომ „ეროვნო“ სავალალოკი არის, რადგან ორკესტრიც კარგი იყო, დირიჟორებიც და ზოგჯერ სოლისტებიც.

ივლისის 11-ს, შესდგა მორიგი კონცერტი, რომელშიაც ორკესტრს დირიჟორობდა ახალი Maestro ილჩენკო—სკრიპკაზე დამკვრელი, პროფესიონალი, მოსკოვის კონსერვატორიის ლაურეატი, ამ ჟამად კი მეორე კონსერვატორიის ფროფესორი.

მე ვფიქრობ, რომ. მოქ. ილჩენკოს მოწოდება სკრიპკასთან ერთად, არის დირიჟორობაც, განსაკუთრებით სიმფონიური ორკესტრით. მე უწინაც მიხდებოდა მისი მოხმენა, და ყოველთვის მისი შესრულება კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა. გაესტოს შეუძლია ორკესტრის დამორჩილება. საკმაო ხმიანობას მიცემა ლამაზი ადგილების ასახვა და რაც მთავარია—ტემპერამენტით დირიჟორობს. ყოველივე ეს, რა თემა უნდა, უბრუნველყოფს გამარჯვებას. ამ შემთხვევაშიაც ილჩენკოს ხვდა გამარჯვება.

კონცერტის პროგრამა შესდგებოდა ჩაიკოვსკის ნაწარმოებთაგან. მუხუთე სიმფონია e maleერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია უკვდავ სიმფონისტისა. ეს სიმფონია არ არის ისეთი პოპულიარული, როგორც მე 6 (პათეთიური), მაგრამ მას საკმაოდ ამშვენებს მუსიკალური სილამაზე, მელოდია და შესაჩნევი ინსტრუმენტოვკა. სიმფონია დაწერილია 1888 წ. ამ ხანებში ჩაიკოვსკი მელანქოლიით იყო შეპყრობილი და სურდა როგორმე მოეშორებინა თავიდან, დაევიწყა. „მუშობა ჩემთვის „შეუდარებელი წყალობაა და ის რომ არ იყოს—ვგრძნობ რომ სევდა მწუხარება „დამტანჯავდა“, სწერდა ჩაიკოვსკი თავის მეგობარს, როცა ამ სიმფონიას ქმნიდა.

კრიტიკოსი თავისივე თავთან, ჩაიკოვსკი არ აკმაყოფილებდა ეს სიმფონია, მაგრამ მუსიკალურმა წრეებმა აღიარეს მისი შეუდარებელი დამსებები და სიმფონია დიდი გამარჯვებით სრულდებოდა კონცერტებზე. დიდივე გამარჯვებით შესრულებულ იქმნა სიმფონია ავტორის დირიჟორობით ბერლინში.

მოქ. ილჩენკომ კარგად გადმოსცა ეს სიმფონია, ასახა მისი სილამაზე. დახარ. ჩვენზე უკეთესად შესრულდა მე-2 ნაწილი; მელოდიური andante. მეორე კატეგორიად ზომიერად იყო სიმფონიური პოემა „ფრანჩესკა დი რიმინი“ დაწერილი 1876 წელში ჩაიკოვსკის საკომპოზიტორო მოღვაწეობის პირველ ხანაში. ამისდამიუხედავად ეს ერთ-ერთ სრულქმნილი ნაწარმოები, როგორც მელოდიის ისე ფაქტიურის მხრივ. მთავარია:—შესაჩნევი ინსტრუმენტოვკა და ორკესტროვკა. პოემის სიუჟეტი აშენებული დანტეს „ჯოჯოხეთის“ მე-5 ეპ ზოდზე. აქ ორი უძთავესი მელოდია, ფრანჩესკას მოთხრობა მის მიერ გადატანილ გეჭირვებებზე და მეორე—მეუდმივ ქარიშხალი, რომელშიაც მუდმივ უნდა იყოს ფრანჩესკა და მისი სიყვარული პაოლო, რომელიც მოკლა ფრანჩესკას ეშვიანმა ქმარმა. პირველი მელოდია დამყარებულია სიმებიან ინსტრუმენტზე, მეორე სრულდება მთელი ორკესტრით და განსაკუთრებით სიმებრავი, ლითონოსანთა ინსტრუმენტებით სკრიპკათა და cello-ების გაძლიერებულ ხმაურთან ერთად. „ეს არის ერც ერთი პწკარი ამ პოემაში, რომელიც მე არ მეგრძნოს და არ იყოს ჩემი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი“—სწერდა ჩაიკოვსკი თავის მეგობარს. მოქ. ილჩენკოს შესრულებაში მომეწონა ფრანჩესკას თემა (ოთხი cello ფანისონში).

აქ Maesfro მ ბევრი ემოციონალობა და ლირიზმი მოგვცა. მეორე თემაში—სასურველია მეტი ტემპერამენტი და მეტი ნაზელი დინამიკა, თუ გინდ უფრო სწრაფი ტემპიც.

კარგად შესრულა მოქ. ცოვიანოვმა ვარიაციები „როკოკო“ cello-სთვის. დაუსრულებელი ოპერა „რომეო და ჯულიეტიდან“ შესრულებული დუეტი (მოქ. ბოკოვა და მოქ. ლიბიკერ) ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ეს იმიტომ არა განსახიერებული, რომ ეს ოპერა ეკუთვნოდეს ... ტოთ შესრულებულ ... ეს. შემდეგ, ... ლიპვლიკის (...) ... მელსაც ეტყობა ხმის ფორსიროვკა, რის გამო მეტად უხეშად ისმოდა; საერთოდ დუეტს შესწავლაც აკლდა.

ბ. ბებუროვი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

საადგილ-მამულო დავათა გადასაწყვეტად მთელს საქართველოში ერთიანი, უმაღლესი ინსტანციის დაარსების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს რა მხედველობაში, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს ერთიანსა და მთლიან საადგილ-მამულო პოლიტიკას მთელს საქართველოში, რომელშიაც შედის აფხაზეთი, აჭარისტანი და სამხრეთ ოსეთი, რომ მიწათ-მოქმედების კომისარიატი ანხორციელებს მთელი საქართველოსათვის სავალდებულო საადგილ-მამულო რევოლიუციონურ კანონმდებლობას, — აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ საადგილ-მამულო დავათა გადასაწყვეტად რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე არსებობდეს ერთნაირი (მეორე) უმაღლესი ინსტანცია—ცენტრალური კომისიის სახით მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს საადგილ-მამულო კანონის თანაბარი განმარტება და სათანადო შეფარდება, რისთვისაც ადგენს:

1.—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან აოსებული ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია ცნობილ იქნეს მთელი საქართველოსათვის—აფხაზეთ—აჭარისტან—სამხრეთ-ოსეთითურთ,—ერთიან უმაღლეს ინსტანციად საადგილ-მამულო დავათა გადასაწყვეტად, რაიც გათვალისწინებულია 1921 წ. ივლისის 27-ს თარიღითა და 62 №-ით გამოცემული დეკრეტითა და ამა დეკრეტის საფუძველზე გამოცემული დებულებებით საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ.—

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ივლისის 18.

ტფილისი-სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დავკარგე სარედაქციო წიგნაკი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან მოცემული და მოწმობა სამხედრო ბეგრის მოხდისგან თავისუფლების ხამხედრო კომისარიატისგან მოცემული, ვაცხადებთ ჩუქმეულად. ბერეგი გოგოლაძე.

დაიკარგა ეკონომიურ საზოგადოების „სურსათი“-ს სახელზე პერის გაყიდვის ნებართვა № 9001, მოცემული ალმასკომის საფინანსო განყოფილებიდან 13 ივნისს, 1922 წლ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქალაქის აღმასკომის სამეწარმეო-მოქმედო განყოფილება

ამით აცხადებს სახლის მეპატრონეთა საყურადღებოთ, რომ გაეიდვა და შემოტანა საანკეტო ფურცლებისა სახლების რეგისტრაციისათვის გრძელდება 1 აგვისტომდე. საანკეტო ფურცლის ფასია—100.000 მან. 1 აგვისტოდან საანკეტო ფურცლების ფასი გადიდდება 10 ჯერ. 10—3

ტირაჟი 700 საქართველ. ... № 2 სტამბა. კონფისკაციის ... ნ. ფ. ს. ...